თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 5

29 მარტი 2019 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 28 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - არჩილი თხლაშიძე

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე — გიგა ორკოდაშვილი;

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — ნანა ხვისტანი;

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — ალექსანდრე შათირიშვილი;

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე — დავით გოგოშვილი;

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე — ლევან კოჭლოშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე — ლევან ლილუაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე — მაია მარკოზაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე — ტიტე დარეჯანიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარე — ალექსანდრე კუპატაძე;

საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე — არჩილი თვალიაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მწვანეები“ თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე **ზურაბ მუსაევი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე **ბესიკი ქოჩიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე **ვასილ არაბული;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე **გიგა მამუკელაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -
კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ქიზიყელაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი“
თავმჯდომარის მოადგილე **ზურაბ ნაცარაშვილი**

საკრებულოს წევრები: ლელა მენთეშაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, გურამ წულუკიძე, ლევან მრელაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ზურაბი ლილუაშვილი, ბესიკ გაიპარაშვილი, აბრამ მახარიაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **ნუგზარ ბაჩიაშვილი;**
საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე;**
ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **გიორგი ენუქიძე;**
საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**
საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები - **ნინო ტაბიძე, გიორგი ფარადაშვილი, სოფიო ოხანაშვილი, ნიკა სახიაშვილი, მთვარისა სოლომნიშვილი, ნინო ასანაშვილი, ნიკოლოზ ესიტაშვილი.**

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ მუნიციპალიტეტის მერიიდან, სხდომაზე დამატებით საკითხად განხილვის მიზნით, წარმოდგენილია 2 საკითხი: „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ და ვინაიდან აღნიშნული საკითხი გამოიწვევს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებას მე-2 საკითხია: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებთან შეთანხმებით, ცვლილება შეიტანა საკრებულოს დღის წესრიგში და დღის წესრიგი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

<u>დღის წესრიგი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. გ.ენუქიძე

   13.00სთ-დან - 13.30 სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

   მომხს.გ. თავბერიძე

   13.30სთ-დან - 13.45 სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N3 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ალ.შათირიშვილი

   13.45სთ-დან - 14.00 სთ-მდე

4. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“

   მომხს. ნ.ბაჩიაშვილი

   14.00სთ-დან - 14.20სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ნ.ვაყელიშვილი

   14.20 სთ-დან - 14.50სთ-მდე

6. სხვადასხვა

ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ.ენუქიძე

13.00სთ-დან - 13.30 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> სოციალურ პროგრამებში ცვლილების პროექტის შესახებ განმარტებები გააკეთა **გ.ენუქიძემ** და აღნიშნა, რომ ცვლილება ეხება ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთათვის სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებების დაფინანსებას და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახებს, 0-1 წლამდე ასაკის ბავშვებს ხელოვნური კვების დაფინანსებას. მან ასევე აღნიშნა, რომ უნდა ამოქმედდეს 0-1 წლამდე ბავშვებისათვის ხელოვნური კვების დაფინანსების სახელმწიფო პროგრამა და სანამ აღნიშნული პროგრამა ამოქმედდება, მანამ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოხდება ჩვილ ბავშვთა კვების დაფინანსება.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 27-მა (ოცდაშვიდი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 1-მა (ერთი) წევრმა: **ა.მახარიაშვილმა.**

პირველი საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დატოვა **ზ.ნაცარაშვილმა.**

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს.გ. თავბერიძე

13.30სთ-დან - 13.45 სთ-მდე

პროექტი საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა **გ.თავბერიძემ,** მან მოკლე მონახაზი გააკეთა გეგმასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროექტი განხილულია საკრებულოს კომისიებსა და საკრებულოს ბიუროს მიერ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ი.პარწიკანაშვილმა** აღნიშნა, რომ მისასალმებელია მსგავსი სახის პროექტების შემუშავება და დამტკიცება. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ მთავარია, შემდგომი განვითარება ქონდეს აღნიშულ პროექტს და რეალურად განხორციელდება მუნიციპალიტეტში.

ლ.კოჭლოშვილმა დასვა კითხვა, თუ ვინ არის პასუხისმგებელი აღნიშული დოკუმენტის განხორციელებაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ უნდა შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც გააკონტროლებს გეგმის შესრულებას და მორიტორინგის ჯგუფში საკრებულოდანაც იქნება წარმომადგენელი.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25-მა (ოცდახუთი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 2-მა (ორი) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა, ა.კუპატაძემ.**

<u>3.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N3 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ალ.შათირიშვილი

13.45სთ-დან - 14.00 სთ-მდე

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25-მა (ოცდახუთი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 2-მა (ორი) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა, ა.კუპატაძემ.**

<u>4.მოისმინეს:</u> „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“

მომხს. ნ.ბაჩიაშვილი

14.00სთ-დან - 14.20სთ-მდე

ნ.ბაჩიაშვილმა ისაუბრა პროექტის შესახებ და აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში ჩატარდა დასახლების საერთო კრებები და მოსახლეობასთან შეხვედრების საფუძველზე განისაზღვრა პრიორიტეტები, თუ რა სახის პრობლემები უნდა იქნას გადაჭრილი თითოეულ სოფელში.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **გ.მამუკელაშვილმა** დასვა კითხვა, იმის თაობაზე, რომ პროექტში ზოგიერთი სოფლის დასახელების გასწვრივ ხარჯთაღრიცხვაში მითითებულია 0, ხოლო ზოგის გასწვრივ სავარაუდო თანხა.

მომხსენებელმა გააკეთა განმარტება, რომ იმ სამუშაოებს, რასაც მუნიციპალიტეტის სპეციალისტები გასწვდებიან მითითებულია 0, ხოლო იმ სამუშაოზე, სადაც საჭირო იქნება სპეციალისტების დაქირავება - მითითებულია სავარაუდო თანხა.

გ.ორკოდაშვილმა დასვა კითხვა იმის შესახებ, რომ თუ სოფელ ფშავლისათვის გამოყოფილი თანხებიდან დარჩება თანხა, შესაძლებელი იქნება თუ არა სოფელში შიდაგანათების მოწყობა, რომელიც პროექტით არ არის გათვალისწინებული.

მომხსენებელმა უპასუხა დასმულ შეკითხვას და აღნიშნა, რომ შესაძლებელია შიდაგანათების მოწყობა.

ლ.კოჭლოშვილმა დასვა კითხვა სოფელ ართანაში სკვერის მოწყობის ადგილის მუნიციპალიტეტის სახელზე დარეგისტრირების შესახებ, რაზეც მომხსენებლმა გააკეთა შესაბამისი განმარტება.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25-მა (ოცდახუთი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 2-მა (ორი) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა, ა.კუპატაძემ.**

<u>5.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
14.20 სთ-დან - 14.50სთ-მდე

ბიუჯეტში ცვლილების პროექტი წარმოადგინა **ნ.ვაყელიშვილმა** და აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია სოციალურ პროგრამებში ცვლილებას და სოფლის პროგრამების დამტკიცებით.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25-მა (ოცდახუთი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 2-მა (ორი) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა, ა.კუპატაძემ.**

<u>6.მოისმინეს:</u> სხვადასხვა

1. **ლ.კოჭლოშვილმა** ისაუბრა თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ართანა, ჯუღაანი, სანიორე, გულგულა, ვარდისუბანი, თეთრწყლები) მოსახლეობასთან შეხვედრების შედეგად გამოკვეთილ პრობლემებზე. მან ასევე აღნიშნა, რომ სოფელ ართანაში საჭიროა სოფლის სახელწოდების აღმნიშვნელი ბანერის მოწყობა, რაზეც ქმედითი სახის ღონისძიებებია გასატარებელი.

2. **გ.ორკოდაშვილმა** წარმოადგინა ინიციატივა „ქ.თელავში, ქართული უნივერსიტეტის ქუჩის ნაწილისათვის, თელაველი ექიმის დიმიტრი გიორგელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“.

მან ასევე ისაუბრა, თაყაიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის, ზაირა კიკვიძის ქუჩის მოასფალტებისა და სასაფლაოს შესასვლელი თაღის აღდგენის საჭიროების შესახებ.

3. **გ.ჩაბრაშვილმა** ისაუბრა ქ.თელავის ზოგიერთ ქუჩებზე სხვადასხვა სახის პრობლემების არსებობის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**